საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ტ. ს.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი ნ. გ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.12.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №110/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ა.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ა.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა, ხოლო 2023 წლის 1 აგვისტოს წარმომადგენლის მეშვეობით ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა ტ. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა თავისი პოზიცია დააზუსტა 2023 წლის 15 მარტის საჩივრით.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის ყოფილ ქმარს და არასრულწლოვანი შვილების ვ. ს.-სა და ე. ს.-ს მამას, ვ. ს.-ს 2022 წლის 18 ნოემბერს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი

არასრულწლოვანი შვილების მიმართ ძალადობის 4 ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბრალდებულ ვ. ს.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და მასზე გამოცხადდა ძებნა, რადგან ბრალის წარდგენის შემდეგ ის საქართველოდან გაიქცა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ბავშვების მამის, ვ. ს.-ის ადვოკატმა კ. გ.-მა მის შესახებ სოციალურ ქსელში გაავრცელა ყალბი ვიდეოები, დაურთო შეურაცხმყოფელი ტექსტი და აზიარებდა დაუსრულებლად. კონკრეტულად, ადვოკატ კ. გ.-ის მიერ 2022 წლის 19 ნოემბერს მის პირად Facebook-ის გვერდზე განთავსდა ყალბი ინფორმაცია, როგორც წერილობითი, ისე 2 ვიდეო ფაილის სახით, წერილობით ადვოკატს მითითებული აქვს თითქოს ტ. ს.-მ ჩაიდინა ბავშვებზე ძალადობა, ამ დროს ის მოხსენიებულია სახელით და გვარით. ამ საკმაოდ დიდ პოსტს თან ერთვის 2 ვიდეო ფაილი. ორივე მათგანი არის ყალბი ვიდეო, ვიდეოფაბრიკაცია, რომლებზეც თითქოს ასახულია მის მიერ ბავშვების ცემა. 2022 წლის 26 ნოემბერს ადვოკატმა კ. გ.-მა კიდევ ერთი ვიდეო გამოაქვეყნა, ამჯერადაც საქმე შეეხება ყალბ ინფორმაციას - გამოაქვეყნა ყალბი ჩანაწერი, რომელსაც ერთვის მისი შეურაცხმყოფელი პოსტი.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ არც ერთ ვიდეოზე არ ჩატარებულა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა, თუმცა იმისთვის რომ ყველას დაცინვის ობიექტად იქცეს, ადვოკატი ვიდეოებს აწერს, რომ ეს საჩივრის ავტორია და მისი არასრულწლოვანი შვილები. გავრცელებულ ვიდეოებზე არც მისი და არც ბავშვების სახე არ არის დაფარული. ადვოკატმა სახე დაფარა მხოლოდ ბოლოს გავრცელებულ ვიდეოზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი კ. გ. ავრცელებს ტყუილ ინფორმაციას, ტყუილ ვიდეო კადრებს, მას ცილს სწამებს დანაშაულის ჩადენაში საჯაროდ, ყველასთვის ხელმისაწვდომად და ყველას მოსატყუებლად აქვეყნებს წერილობით ინფორმაციას და ვიდეო მასალას. ვიდეო მასალა გააზიარა ასობით ადამიანმა. კადრები გავრცელდა ტიკტოკზე და ინსტაგრამზე. ვიდეოზე სხვადასხვა პირთა მიერ გაკეთებული კომენტარები არის უცენზურო, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში, რის გამოც მას და მის შვილებს ეშინიათ სახლიდან გასვლის.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ვიდეო ჩანაწერი წარმოადგენს ფაბრიკაციას, რომელსაც ერთვის მისი და მისი არასრულწლოვანი შვილების დამამცირებელი და დამაკნინებელი ინფორმაცია. ადვოკატის მიერ საჯაროდ გამოტანილი სადავო ინფორმაცია ეხება არასრულწლოვნებს და მისი ქმედება უკანონოა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ბავშვები განიცდიან მათ შესახებ ამგვარი ფორმით ინფორმაციის გავრცელებას და ამ ფაქტის გამო ისინი სკოლაში აღარ დადიან.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ი. ა.-მა, რომელიც არის ბავშვების ადვოკატი, გააზიარა სოციალურ ქსელში ადვოკატ კ. გ.-ის მიერ გამოქვეყნებული პოსტი. ი. ა.-ს თავისი კლიენტები, არასრულწლოვანი ბავშვები ნანახიც კი არ ჰყავს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ რეალურად ის იცავს არა ბავშვების, არამედ ვ. ს.-ის ინტერესებს.

1.7 ადვოკატმა ი. ა.-მა იცოდა, რომ 2022 წლის 14 ივნისიდან დაწყებული იყო გამოძიება მამის მხრიდან ბაშვებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტზე. გამოძიების დაწყების დღიდან ბავშვები მამასთან ცხოვრობდნენ 5 თვის განმავლობაში 2022 წლის 28 ოქტომბრამდე. მიუხედავად ამისა, ბავშვების ადვოკატის სტატუსის მატარებელმა ი. ა.-მა ერთი განცხადებაც კი არ შეიტანა საგამოძიებო ორგანოში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში, იურიდიული დახმარების სამსახურში, სახალხო დამცველთან ან რომელიმე სხვა ორგანიზაციაში, რომ მომხდარიყო მოძალადე მამის ბავშვებისაგან დისტანცირება და ბავშვების დაცვის მიზნით განხორციელებულიყო რაიმე მოქმედება. პირიქით, ადვოკატი ი. ა. სასამართლოს პროცესებზე მხარს უჭერდა ბავშვების მამასთან დაბრუნებას.

1.8 2022 წლის 30 ნოემბერს არასრულწლოვნებმა ვიქტორია და ელიზავეტა სოლოვიოვებმა საჩივრით მიმართეს საქართველოს გენერალურ პროკურორს და აცნობეს, რომ ი. ა. არ არის მათი ადვოკატი. დღეის მდგომარეობით, საგამოძიებო უწყებაში მიმდინარეობს საქმის მოკვლევა ი. ა.-ის მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებზე.

1.9 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ისე გაავრცელა ბავშვების შესახებ ვიდეო ჩანაწერები, რომ მათგან არ აუღია თანხმობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 20 დეკემბერს ადვოკატმა ი. ა.-მა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა წერილობითი განმარტება და საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 07 ივლისის სხდომაზე მიუთითა, რომ 2022 წლის აპრილიდან წარმოადგენს არასრულწლოვნების - ვ. ს.-ს, ე. ს.-ს და ვ. ს.-ის ინტერესებს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, პირველად არასრულწლოვნებს შეხვდა 2022 წლის აპრილში ქ.თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე, სადაც ისინი ცხოვრობდნენ მამის - ვ. ს.-ის, ბებიის - ა. ტ.ლინას და ძიძის გარემოცვაში. ამ შეხვედრისას ის ესაუბრა არასრულწლოვნებს დამოუკიდებლად და სამივე არასრულწლოვანმა, მიუხედავად მათი ასაკისა, განუცხადეს თანხმობა, რომ მას დაეცვა მათი ინტერესები დედას და მამას შორის არსებულ კონფლიქტში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, რუსეთის ფედერაციაში ტ. ს.-ს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვანი შვილების წამების, ანუ ფიზიკური და ფსიქიკური წვალების სისტემატური ცემის ან/და სხვა ძალდატანებითი ქმედებების გამო, ამის შემდეგ დედამ უნებართვოდ გადაადგილა შვილები, ჯერ ბელორუსიისა და თურქეთის ტერიტორიაზე, შემდეგ საქართველოში. 2021 წლის 02 ნოემბრის დადგენილებით, რუსეთის ფედერაციის ბატაისკის საქალაქო სასამართლომ ტ. ს.-ს მიმართ მიიღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

2.4 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით, ტ. ს.-ს მიმართ გამოიცა დამცავი ორდერი 4 თვის ვადით. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატამ 2022 წლის 13 ივლისის განჩინებით დატოვა უცვლელად. ამდენად, ორი ინსტანციის სასამართლომ ტ. ს. მიიჩნია ბავშვებთან მოძალადეთ და შეუზღუდა არასრულწლოვნებთან ურთიერთობა.

2.5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის განჩინებით საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულ იქნა რუსეთის ფედერაციის ბატაისკის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ტ. ს.-ს შეეზღუდა მშობლის უფლება შვილებთან მიმართებაში ბავშვების მამის, ვ. ს.-ის სასარგებლოდ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით დადგინდა არასრულწლოვნების არამართლზომიერად გადაადგილების ფაქტი და გადაწყდა მათი დაბრუნება რუსეთში - სამშობლოში, ეს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით.

2.6 თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2022 წლის 21 ივლისს გამოიცა დროებითი განჩინება დამცავი ორდერის ვადის გაგრძელების შესახებ საქმის არსებით განხილვამდე 3 თვის ვადით, რომელიც სააპელაციო სასამართლომ 2022 წლის 27 ოქტომბერს დატოვა უცვლელად, ანუ ამ შემთხვევაშიც დადგინდა ტ. ს.-ს მხრიდან ბავშვებზე ძალადობის ფაქტები. აღნიშნული ძალადობა ძირითადად დაფიქსირებული იყო იმ კადრებზე, რომლის გავრცელების და თითქოსდა ფალსიფიკაციის ფაქტზე აქვს პრეტენზია საჩივრის ავტორს.

2.7 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 28 ოქტომბერს ბავშვები ფაქტობრივად მათი ნების საწინააღმდეგოდ, დედის მხრიდან განხორციელებული მოქმედებების შედეგად აღმოჩნდნენ დედასთან. დედამ ჩვეულებისამებრ მოახდინა მათზე ზეწოლა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 ნოემბრის განჩინებით დადგინდა, რომ ბავშვების მამას არასოდეს უძალადია შვილებზე და მოძალადეა თავად დედა. ასევე გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვნები იმყოფებოდნენ დედის ზეგავლენის ქვეშ, რის გამოც ბავშვებს განვითარებული აქვთ დედის მიმართ მონური მიჯაჭვულობის დამოკიდებულება, რომლის რეაბილიტაციისთვის მათ რამდენიმე თვე დედისგან განცალკევებულად ყოფნა ესაჭიროებათ.

2.8 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 ნოემბრის განჩინებით, ტ. ს.-ს მიმართ გამოიცა დამცავი ორდერი ბავშვებთან მიმართებაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 02 დეკემბრის განჩინებით გადაწყდა ბავშვების თავშესაფარში გადაყვანა და ეს გადაწყვეტილება მიუხედავად ტ. ს.-ს წინააღმდეგობა, შესრულდა სათანადო უწყების მიერ.

2.9 2022 წლის 17 ნოემბერს ტ. ს.-ს პროცესზე იმყოფებოდა ტვ პირველის ჟურნალისტი, რომელიც მისგან ცდილობდა გარკვეული ინფორმაციის მიღებას, მან განუმარტა, რომ ამ ეტაპზე არ მიაჩნდა მიზანშეწონილად იმ მასალების გასაჯაროება, სადაც აშკარად ჩანდა არასრულწლოვნებზე განხორციელებული დაუფარავი ძალადობა დედის მხრიდან. 2022 წლის 19 ნოემბერს ნახა ნ. მ.-ის შაბათის ანონსში გამოქვეყნებული სიუჟეტი, რომლითაც შეეცადნენ ურთიერთობის იმგვარად წარმოჩენას, სადაც არ იკვეთებოდა ობიექტური სურათი ტ. ს.-ს მხრიდან ბავშვებზე უმაგალითო ძალადობის შესახებ და იმ ფონზე, როცა

ბავშვები კვლავ მოძალადე დედასთან რჩებოდნენ, არ არსებობდა სხვა გზა იმისა, რომ საზოგადოებას ცოდნოდა დედის მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ, მით უფრო იმ ვითარებაში, რომ 17 ნოემბრის პროცესზე სპეციალისტმა, რომელიც კლინიცისტური მეთოდებით იკვლევდა ტ. ს.-ს დაასკვნა, რომ მისი აგრესია ბავშვების მიმართ არ იყო დროებითი მოვლენა და ამგვარი ქცევა მისი ხასიათის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ამის შემდეგ, კანონის სრული დაცვით, ისე რომ არასრულწლოვნების იდენტიფიცირება არ მომხდარიყო, მან თანხმობა მისცა ვიდეო კადრების გასაჯაროებაზე და მოგვიანებით, პოსტი თავადაც გააზიარა, რასაც საზოგადოების მხრიდან მოჰყვა ბუნებრივი, ნეგატიური რეაქცია ტ. ს.-ს მისამართით. ადვოკატი განმარტავს, რომ მას იმ მომენტში ბავშვებისაგან თანხმობის მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა, თუმცა იხელმძღვანელა მათი საუკეთესო ინტერესით.

2.10 ადვოკატის განმარტებით, სიცრუეა იმაზე აპელირება, რომ კადრები არის ყალბი, რადგან კადრებზე მისი არსებობის ფაქტი და მისი მხრიდან ჩადენილი ყველა ქმედება ტ. ს.-მ ჯერ კიდევ 2022 წლის 30 ივნისს და ასევე სააპელაციო სასამართლოში - 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოტანამდე აღიარა და არაერთ პროცესზე დაადასტურა. ტ. ს. პირდაპირ ადასტურებდა, რომ ძალადობდა შვილების მიმართ, თუმცა ყველას პირდებოდა, რომ იგივეს არ გაიმეორებდა.

2.11 ადვოკატის განმარტებით, სავარაუდოდ მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ბევრჯერ გაზიარდა. არც ერთ ფაილში, რომელიც მან გამოაქვეყნა, არ ჩანს ბავშვების სახე ისე, რომ ვინმემ მათი იდენტიფიცირება შეძლოს, ასევე, მას არ მიუთითებია ბავშვების ვინაობა. მისი ქმედება მიზნად ისახავდა ბავშვების დაცვას მოძალადე დედისაგან. ადვოკატის განმარტებით, თუ ტ. ს.-მ ეს ვიდეო ფაილები აჩვენა ბავშვებს, ამით მან კვლავ ზემოქმედება განახორციელა მათზე, გაახსენა, მის მიერ ბავშვების ცემის ფაქტი და მიანიშნა, რომ თუ იმას არ გააკეთებდნენ რასაც ის მიუთითებს, უარესი დაემართებათ. ადვოკატის განმარტებით, ტ. ს.-ს ძალადობად არ მიაჩნია ტელევიზიის მეშვეობის სიცრუის საუბარი და ამით ბავშვების მომავლის დანგრევა.

2.12 ადვოკატის განმარტებით, დედის მხრიდან ბავშვებზე განხორციელებული ძალადობის ფონზე ბავშვებს ჩამოუყალიბდათ მოძალადე დედის მიმართ მონური და მორჩილი დამოკიდებულება და აცხადებენ იმას, რასაც დედა ავალებთ. საბედნიეროდ, ბავშვები ამჟამად არიან სახელმწიფოს ზრუნვაში და აღარ განიცდიან ძალადობას. ამავდროულად, ბავშვების შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობს ყველა შესაბამისი სამსახური.

2.13 ადვოკატმა განმარტა, რომ არსებობს მისი და უმცროსი არასრულწლოვნის საუბრის ჩანაწერი თავის დებთან, რომელიც გაკეთებულია მაშინ, როდესაც არასრულწლოვნები იმყოფებოდნენ სახელმწიფოს ზრუნვაში, თუმცა ადვოკატს აღნიშნული ჩანაწერი ბავშვების ინტერესიდან გამომდინარე, კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია.

2.14 ადვოკატი განმარტავს, რომ მისი საადვოკატო ქმედებები მიმართული იყო მხოლოდ არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესის დაცვისკენ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. ა.-ის არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი, ბავშვთა უფლებები.

3.2 ტ. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 16 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022-2023 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

3.4 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის ზეპირი პოზიციის მისაღებად განახორციელა შემდეგი მოქმედებები: მხარესთან სხდომა ჩანიშნა 2023 წლის 1 თებერვალს. ჩანიშნული სხდომა გადაიდო - საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო თარჯიმნის მეშვეობით სხდომაზე მონაწილეობის მიღება. სხდომა გადაიდო საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე 2023 წლის 14 თებერვალს. 14 თებერვლის სხდომა გადაიდო - საჩივრის ავტორის თარჯიმანმა ვერ შეძლო ფორმის დაცვით სხდომაზე ჩართვა, ამასთან, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა თავისი დღის დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე ითხოვა სხდომის გადადება. სხდომა გადაიდო 2023 წლის 17 მარტს. 17 მარტის სხდომა გადაიდო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, მისი შრომისუუნარობიდან გამომდინარე. სხდომა გადაიდო 2023 წლის 29 მარტს. 29 მარტს საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სხდომის სხვა დროისთვის გადადების თაობაზე, სხდომა გადაიდო 19 ივნისს. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა იშუამდგომლა 19 ივნისის სხდომის გადადების თაობაზე, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. კოლეგიამ საჩივრის ავტორის წარმომადგენლის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სხდომა გადადო 20 ივლისს. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი 20 ივლისის სხდომაზე არ გამოცხადდა და კოლეგიის მიერ დაევალა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის წარმოდგენა. წარმომადგენელმა წარმოადგინა სასამართლოს უწყება სხდომაზე დაბარების შესახებ. კოლეგიამ სხდომა გადადო 1 აგვისტოს. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა 2023 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე მონაწილეობა მიიღო.

3.5 საპროცესო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის 2023 წლის 15 მარტის შუამდგომლობა საქმეში ბავშვების ადვოკატის ჩართვის თაობაზე, რადგან აღნიშნულ საქმეში არასრულწლოვნებს არ აქვთ საპროცესო სტატუსი.

3.6 საპროცესო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა კოლეგიის აცილების შესახებ, უსაფუძვლობის და დაუსაბუთებლობის გამო.

3.7 ადვოკატმა კოლეგიას წარმოუდგინა მასსა და ტ. ს.-ს შორის, სოციალური ქსელის whatsapp-ის მეშვეობით განხორციელებული მიმოწერის ვიდეო, სადაც ჩანს, რომ ბავშვების დედა მას როგორც ბავშვების ადვოკატს ავალებს გარკვეული ქმედებების განხორციელებას და ის როგორც ბავშვების საუკეთესო ინტერესის მატარებელი, ცდილობდა ტ. ს.-სთვის ხელი

შეეწყო ყოფილ მეუღლესთან მოლაპარაკებაში - აღნიშნული ჩანაწერი კომისიამ საქმეს არ დაურთო, რადგან ჩანაწერში კომუნიკაცია მიმდინარეობს არაქართულ ენაზე.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ტ. ს.-ს პრეტენზიის ნაწილში, ადვოკატ ი. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

ამასთან, ტ. ს.-ს, როგორც ბავშვების კანონიერი წარმომადგენლის პრეტენზიის ნაწილში, ადვოკატ ი. ა.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 9.1(გ) მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ი. ა.-მა, რომელიც არის მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის - ვ. ს.-ის ადვოკატი, გააზიარა ვ. ს.-ის ადვოკატის - კ. გ.-ის მიერ სოციალურ ქსელ „Facebook“-ში გამოქვეყნებული საჯარო პოსტი. ტ. ს.-ს პრეტენზიით, პოსტი მის შესახებ შეიცავს არასწორ ინფორმაციას და პოსტში მითითებული ტექსტი მისთვის არის შეურაცხმყოფელი; პოსტს ერთვის ყალბი ვიდეო ფაილი; ამასთან, კ. გ.-მა გამოქვეყნებულ ინფორმაციაში გაასაჯაროვა ტ. ს.-ს სახელი და გვარი; ვიდეო ფაილებში იდენტიფიცირებადია მისი და მისი არასრულწლოვანი შვილების ვინაობა;

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ი. ა.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3.ა).

5.2.2 ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1).

5.2.3 კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

5.2.4 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

5.2.5 ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს; ადვოკატისა და სასამართლოს

ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი", მუხლები 9.1 და 9.4).

5.3 კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას, ადვოკატი შებოჭილია კანონითა და პროფესიული ქცევის წესებით. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატისთვის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთ-ერთი პროფესიის წარმომადგენლისთვის, უპირატესად გასათვალისწინებელია კანონიერებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა. შესაბამისად, ადვოკატმა თავისი ძირითადი მოვალეობის შესრულებისას - კლიენტის ინტერესების დაცვისას, საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს კანონისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში. მნიშნელოვანია, რომ ადვოკატმა უზრუნველყოს კლიენტის მხოლოდ კანონიერი ინტერესების, კანონიერი საშუალებებით დაცვა და მიუხედავად ადვოკატის პროფესიის მთავარი მიზნისა, რაც სპეციალური ცოდნის მქონე პირის მხრიდან, კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას გულისხმობს, კლიენტის ინტერესები არ დააყენოს, კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმებზე მაღლა.

5.4 „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა" (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.09.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე№11/6/561,568, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ").

5.5 „ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 03.12.2006 წლის გადაწყვეტილება, საქმე №2317/12/06).

5.6 ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.4).

5.7 კომისიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პირველი პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, ადვოკატმა ადვოკატმა ი. ა.-მა, რომელიც არის მისი შვილების ადვოკატი, ბავშვების მამის

ადვოკატის - კ. გ.-ის მიერ სოციალურ ქსელ „Facebook“-ში გამოქვეყნებული საჯარო პოსტი. პოსტი მის შესახებ შეიცავს არასწორ ინფორმაციას და პოსტში მითითებული ტექსტი მისთვის არის შეურაცხმყოფელი; პოსტს ერთვის ყალბი ვიდეო ფაილი;

5.8 კოლეგიამ დაადგინა უდავო ფაქტები: ადვოკატი ი. ა. 2022 წლის აპრილიდან იცავს არასრულწლოვნების - ვ. ს.-ს, ე. ს.-ს და ვ. ს.-ის ინტერესებს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე. ბავშვების მამას, ვ. ს.-ს სამოქალაქო საქმეში წარმოადგენს ადვოკატი კ. გ.. მხარეთა შორის უდავოა, რომ ადვოკატმა ი. ა.-მა თავის პირად „Facebook“-ის გვერდზე გააზიარა ადვოკატ კ. გ.-ის მიერ „Facebook“-ის მეშვეობით გამოქვეყნებული საჯარო პოსტი, რომელსაც თან ერთვოდა ვიდეო ფაილი.

5.9 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.10 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

5.11 საჩივრის ავტორმა თავისი პოზიციის დასადასტურებლად წარმოადგინა მტკიცებულებები, ადვოკატ ი. ა.-ის მიერ გაზიარებული პოსტი. საიდანაც დასტურდება, რომ:

5.12 „Facebook“-ის პირადი გვერდიდან - „I. I. (ი. ა.)“, ადვოკატმა ი. ა.-მა მონიშვნით გააზიარა ადვოკატ კ. გ.-ის პოსტი და თან დაურთო შემდეგი ინფორმაცია: „ძალადობას ბავშვების მიმართ არ აქვს არავითარი გამართლება“.

„Advokati K. G.“-ის მიერ გამოქვეყნებულ პოსტს ერთვის ტექსტი: „ვნახე N. M.-ს 19 ნოემბრის გადაცემის ანონსი და გაკვირვებული ვარ იმით, რომ ნაცვლად ბავშვების უფლებების და ინტერესების დაცვისა, ჭორებზე და ცილისწამებაზეა სიუჟეტი დაფუძნებული. არ მინდოდა ამ თემის ასე გასაჯაროვება...“.

5.13 საჩივრის ავტორმა კომისიას წარმოუდგინა 2022 წლის 18 ნოემბრის დადგენილება ვ. ს.-ის ბრალდების შესახებ, აღნიშნულ საქმეში დაზარალებულებს წარმოადგენენ ვ. ს.-ის შვილები, ვ. ს. და ვ. ს.; ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს გამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2022 წლის 19 ნოემბრის განჩინება, რომლითაც ბრალდებულ ვ. ს.-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით განისაზღვრა პატიმრობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ამავე სამმართველოში გამოძიება მინდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე ვ. ს.-ის დედის, ა. ტ.-ს მიერ შვილიშვილების მიმართ განხორციელებული ოჯახში ძალადობის ფაქტზე. თავის მხრივ, ადვოკატის მიერ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია: როსტოვის ოლქის ქალაქ ბატაისკის 2021 წლის 31 აგვისტოს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ ტ. ს.-ს მიმართ; როსტოვის ოლქის ქალაქ ბატაისკის 2021 წლის 02 ნოემბრის დადგენილება ტ. ს.-ს ბრალდების შესახებ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივლისის განჩინებით საქმეზე N--- უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის განჩინებით საქმეზე N---, დავის საგანი - მშობლის უფლების შეზღუდვა, სასამართლომ დააკმაყოფილა ვ. ს.-ის შუამდგომლობა და საქართველოს ტერიტორიაზე აღიარა რუსეთის ფედერაციის ბატიასკის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 აგვისტოს N--- გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ტ. ს.-ს მშობლის უფლებები შეეზღუდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 21 ივლისის განჩინებით საქმეზე N--- დაკმაყოფილდა არასრულწლოვნების მამის ვ. ს.-ის შუამდგომლობა დროებითი განჩინების გამოცემის თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ მოქმედი დამცავი ორდერის მოქმედების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 3 თვით, გაგრძელდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების მოქმედების ვადა საქმე N---. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოელგიის 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით სამქეზე N--- არასრულწლოვნების 2022 წლის 1 ნოემბრის განცხადება მამის - ვ. ს.-ის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 ნოემბრის დროებითი განჩინებით საქმეზე N--- დაკმაყოფილდა ვ. ს.-ის დედის - ა. ტ.-ს შუამდგომლობა დროებითი განჩინების გამოცემის თაობაზე, ამავე განჩინებით არასრულწლოვნები - ვ. ს. და ე. ს. გარიდებულ იქნენ დედისაგან ტ. ს.-სგან, არასრულწლოვნები გამოყვანილი იქნენ დედის საცხოვრებელი ადგილიდან და აღსაზრდელად გადაეცნენ ბებიას - ა. ტ.-ს. ტ. ს.-საეკრძალა ვ. ს.-სთან, ე. ს.-სთან და ვ. ს.-სთან ურთიერთობა და მათი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანა საქმეზე

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოსადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 2 დეკემბრის დროებითი განჩინებით საქმეზე N--- დაკმაყოფილდა ვ. ს.-ის დედის - ა. ტ.-ს შუამდგომლობა დროებითი განჩინების გამოცემის თაობაზე, ამავე განჩინებით არასრულწლოვნები - ვ. ს. და ე. ს. გარიდებულ იქნენ ბებიისგან - ი. ა.-სგან. არასრულწლოვნები გამოყვანილი იქნენ ბებიის ი. ა.-ს საცხოვრებელი ადგილიდან და აღსაზრდელად გადაეცნენ ბებიას - ა. ტ.-ს. ი. ა.-ს აეკრძალა ვ. ს.-სთან, ე. ს.-სთან და ვ. ს.-სთან ურთიერთობა და მათი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2.15 ჟურნალისტმა ნ. მ.-მ დავასთან დაკავშირებით გააკეთა სიუჟეტი, სადაც სადაც ასახული იყო მოდავე მხარეთაგან მხოლოდ ერთის - ტ. ს.-ს პოზიცია. სიუჟეტის გასვლის შემდეგ, კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე, ადვოკატმა კ. გ.-მა გაასაჯაროვა მისი კლიენტის პროცესუალური მხარის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული პოსტი გააზიარა ბავშვების ადვოკატმა ი. ა.-მა და განმარტა, რომ იმ ფონზე, როცა ბავშვები კვლავ მოძალადე დედასთან რჩებოდნენ, არ არსებობდა სხვა გზა იმისა, რომ საზოგადოებას ცოდნოდა დედის მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტების შესახებ, მით უფრო იმ ვითარებაში, რომ 17 ნოემბრის პროცესზე სპეციალისტმა, რომელიც კლინიცისტური მეთოდებით იკვლევდა ტ. ს.-ს დაასკვნა, რომ მისი აგრესია ბავშვების მიმართ არ იყო დროებითი მოვლენა და ამგვარი ქცევა მისი ხასიათის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ამის შემდეგ, კანონის სრული დაცვით, ისე რომ არასრულწლოვნების იდენტიფიცირება არ მომხდარიყო, მან თანხმობა მისცა ვიდეო კადრების გასაჯაროებაზე და მოგვიანებით, პოსტი თავადაც გააზიარა, რასაც საზოგადოების მხრიდან მოჰყვა ბუნებრივი, ნეგატიური რეაქცია ტ. ს.-ს მისამართით. ადვოკატმა განმარტა, რომ აღნიშნული ჩანაწერების ნამდვილობა ტ. ს.-ს არაერთხელ აქვს დადასტურებული სხვადასხვა სასამართლოს სხდომებზე.

5.14 საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა კ. გ.-მა გაასაჯაროვა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადგენილი ფაქტები. ადვოკატის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული იყო მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობდა როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის ფედერაციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით. ადვოკატ კ. გ.-ის მიერ სადავო პოსტის გამოქვეყნებამდე, ტ. ს.-ს მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და გამოცემული იყო შემაკავებელი, ასევე დამცავი ორდერი, მის მიერ არასრულწლოვან ბავშვებზე ძალადობის ფაქტებიდან გამომდინარე. ტექსტში გამოყენებულია სამართლებრივი ტერმინი - „მოძალადე“, რომელიც სუბიექტურად პირისთვის შესაძლოა იყოს არასასიამოვნო, თუმცა ობიექტურად ტ. ს.-ს მიერ ძალადობის განხორციელების ფაქტი დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით. ადვოკატ კ. გ.-ის პოსტის გაზიარებით, ადვოკატ ი. ა.-ის მიზანს წარმოადგენდა არა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხყოფა, არამედ საკუთარი კლიენტების დაცვა. შესაბამისად, კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის პოსტი არ შეიცავდა არასწორ ინფორმაციას და პოსტის შინაარსი არ არის შეურაცხმყოფელი.

5.15 საჩივრის ავტორმა იმ პრეტენზიის დასადასტურებლად, რომ ადვოკატმა კ. გ.-მა პოსტს თან დაურთო ყალბი ვიდეო ფაილები, კომისიას წარმოუდგინა ექსპერტის დასკვნა - დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი „ა.“-ს ექსპერტის 2023 წლის 13 მარტის კონსულტაცია N---. საჩივრის ავტორის მხარის მიერ ექსპერტს წარედგინა დისკზე არსებული ვიდეო ჩანაწერები და დაისვა კითხვა - ვიდეო ჩანაწერები უწყვეტია (მთლიანია) თუ მათზე შეინიშნება რაიმე სახის მონტაჟი. კვლევამ აჩვენა, რომ დისკზე არსებულ ვიდეოფაილებში შეინიშნება მონტაჟის კვალი. ადვოკატმა კ. გ.-მა განმარტა, რომ მას ვიდეო ჩანაწერები მიღებული აქვს კლიენტისგან, რომელმაც ისინი მოიპოვა თავის სახლში, ყველასთვის ხილულად დამონტაჟებული კამერებისაგან. კოლეგიის შეფასებით, ექსპერტის მიერ გაცემული პასუხი ვიდეო ჩანაწერის სიყალბის ფაქტს არ ადასტურებს. შესაბამისად, პოსტის გაზიარებით, ადვოკატ ი. ა.-ის მიერ კლიენტის არაკანონიერი საშუალებით დაცვის ფაქტი არ დასტურდება.

5.16 კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის შემდეგი პრეტენზია - ადვოკატმა ი. ა.-მა გააზიარა პოსტი, რომელშიც ადვოკატმა კ. გ.-მა გაასაჯაროვა ტ. ს.-ს სახელი და გვარი; ვიდეო ფაილებში იდენტიფიცირებადია მისი და მისი არასრულწლოვანი შვილების ვინაობა; კოლეგიის შესაფებით უდავოა, რომ პოსტში, რომელიც გამოქვეყნებულია ადვოკატ კ. გ.-ის მიერ, მითითებულია ტ. ს.-ს სახელი და გვარი. ამასთან, უდავოა, რომ ადვოკატის მიერ ამ პოსტის გამოქვეყნებას, წინ უსწრებდა სატელევიზიო ეთერში გასული სიუჟეტი, სადაც გასაჯაროვდა ტ. ს.-ს სახელი, გვარი და სიუჟეტში რესპოდენტი - ტ. ს. საუბრობს ვინაობის დაუფარავად. შესაბამისად, მხარის მიერ თავისი ვინაობის გასაჯაროვების შემდეგ, ადვოკატის მიერ მხარის ვინაობაზე მითითება, არ წარმოადგენს ადვოკატის პროფესიული ეთიკური ვალდებულების დარღვევას. კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ვიდეო ფაილები ბავშვებთან მიმართებით და უთითებს, რომ ადვოკატის მიერ გამოქვეყნებული ვიდეო ფაილებიდან ერთ ნაწილში დაფარულია ბავშვების სახე, ხოლო მეორე ნაწილში, სადაც ბავშვების სახე დაფარული არ არის - ბავშვების იდენტიფიცირება შეუძლებელია. კომისიის შეფასებით, ადვოკატ ი. ა.-ს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3.ა, 5.გ, 6.1 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 5, 9.1 და 9.4 მუხლები.

5.17 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატ ი. ა. წარმოაჩენდა თავს ბავშვების ადვოკატად, მაშინ, როდესაც მას ბავშვები ნანახიც კი არ ჰყავდა; ადვოკატს ბავშვების ინტერესის დასაცავად არ განუხორციელებია მოქმედებები; ადვოკატი რეალურად იცავს ბავშვების მამის ინტერესს.

5.18 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლით დადგენილი დანაწესი. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: „ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ

დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

5.19 განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა - საჩივრის ავტორი არ არის ადვოკატი; ასევე, სახეზე არ არის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევები. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ საჩივრის ავტორის აღნიშნული პრეტენზია შეაფასა დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ფარგლებში.

5.20 დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. კომისიის პრაქტიკით, აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. კოლეგიამ, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ადვოკატ ი. ა.-ს პროფესული ვალდებულება აქვს კლიენტების - არასრულწლოვანი ბავშვების წინაშე. დისციპლინურ საქმეში საჩივრის ავტორია - ტ. ს. პირადად და არა როგორც ბავშვების კანონიერი წარმომადგენელი. შესაბამისად, თავისი შვილების მიმართ პრეტენზიის ნაწილში, საჩივრის ავტორის არაუფლებამოსილი განმცხადებელია.

5.21 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 9.1(გ) მუხლის თანახმად, „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“. არსებული რეგულაციის ფარგლებში, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ი. ა.-ის მიმართ, რადგან საჩივარი წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №110/22 ადვოკატ ი. ა.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ეკატერინე მაჭარაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/